6765/3-2/22 2 25072022

6765/3-2/22
25-07-2022

საქართველოს თავდაცვის მინისტრს

ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს

ბატონო ჯუანშერ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის თანახმად მონიჭებული უფლების ფარგლებში, გთხოვთ მიპასუხოთ შემდგომ კითხვებზე.

თქვენ მიერ გამოგზავნილ წერილში (MOD 2 22 00788461) მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გთხოვთ მაცნობოთ თუ რა იყო ბრძანების საფუძველი თორნიკე ჩიქოვანის დანიშვნასთან დაკავშირებით? (განცხადება, მოხსენებითი ბარათი, აშ.)

2.გაეროში საერთაშორისო და რეგიონული მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობის მიზნით რას წარმოადგენს მივლინებაში თორნიკე ჩიქოვანის უფლება-მოვალეობებს?

3.ზემოაღნიშნული უფლება მოვალეობების განხორციელების ფარგლებში, თუ ზემდგომის კერძო დავალების საფუძველზე ასეთის არსებობის შემთხვევაში, წარმოგვიდგინეთ მის მიერ მივლინების პერიოდში შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალი ან/და შედეგები.

4.გთხოვთ მოგვაწოდოთ წერილობითი სახით, თორნიკე ჩიქოვანის მივლინებისთვის სამინისტროს მიერ გაწეული ყველა ხარჯი.

გთხოვთ გვაცნობოთ, თუ რა მექანიზმით ხორციელდება მისი თანამდებობრივი საშტატო ერთეულის ფარგლებში არსებული უფლება-მოვალეობების განხორციელება. იმ შემთხვევაში, თუ სხვა თანამდებობის პირს აქვს დაკისრებული აღნიშნული უფლება-მოვალეობების განხორციელება.

ასევე გვაცნობეთ აღნიშნული მივლინებიდან გამომდინარე ყველა იმ ცვლილების შესახებ ინფორმაცია, უფლება-მოვალეობების დროებითი თუ უვადოდ დაკისრების შესახებ დეტალური ინფორმაციის ჩათვლით.

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია